ფაროს გზა

საზოგადოების როლი და მონაწილეობა კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში

ივნისი 2021

ასმათ ლალი მესხი

ფაროს კონვენცია

- კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების მნიშვნელობის შეხსენება საზოგადოებისთვის;
- კულტურული მემკვიდრეობის მიმართ პასუხისმგებლობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის;
- მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების მშნებლობაში მემკვიდრეობის როლის გაზრდა;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და ძეგლების მნიშვნელობა იმ ფასეულობების საშუალებით, რომლებსაც ეს ობიექტები და ძეგლები ატარებენ;
- კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში სახელმწიფო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, სოფლის/თემის, კერძო სექტორის, აკადემიური წრეების თანამშრომლობა.

კულტურული მემკვიდრეობა თვითმყოფადობის შენარჩუნების ღერძი

- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ინახავს კოლექტიურ ფასეულობებს და საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ სამყაროსეულ ცოდნას;
- მუდმივად ცვალებად სამყაროში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კულტურული მნიშვნელობა და სოციალური ფუნქციები განვითარების, ფასეულობათა და იდენტობის შენარჩუნების საშუალებაა.
- იმპერიული მთავრობები, ახალი მიდგომები, გარემო და ეკონომიკური პირობები იწვევს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გაქრობას.
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პასუხისმგებლობა აქვს თითოეულ ინდივიდს, საზოგადოებას, სხვადასხვა სექტორებს, ხელისუფლებას.

ხორბლის კულტურა საქართველოში

- ხორბალთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობა ეროვნული თვითმყოფადობის მნიშვნელოვანი ნაწილია.
- საქართველო არის ხორბლისა და პურის ერთ-ერთი სამშობლო. აქ უძველესი დროიდან (VI ათასწლეული ჩვ.წ.აღ-მდე) მოჰყავდათ რბილი (bread wheat) ხორბალი და იყენებდნენ მას საკვებად, სამკურნალოდ, სარიტუალოდ, საამშენებლოდ...
- ხორბლის კულტურა საქართველოში - ენდემური სახეობებისა და აბორიგენი ჯიშების მოვლა-მოყვანისა და მოხმარების ტრადიცია (Wheat Culture in Georgia (the Culture of Wheat Endemic Species and Landraces Cultivation and Utilization)) მდიდარი და მრავალფეროვანია.
- სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები, ხელოსნობა, ფოლკლორი და ლექსიკა ხაზს უსვამს ხორბლის კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას.
- ცალკეულმა სოფლებმა/თემებმა, მეხორბლე ოჯახებმა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ექსპერტებმა, საეკლესიო და სამონასტრო თემმა ნაწილობრივ ცოცხლად შემოგვინახა ეს არამატერიალური კულტურა.

გადაუდებელი დაცვის საჭიროება

- მე-20 ს-ის მეორე ნახევრიდან საბჭოთა ცენტრალიზებულმა დაგეგმარებამ, ურბანიზაციამ და ინდუსტრიალიზაციამ შეცვალა შრომისა და ცხოვრების წესი თემში, სოციალური როლები და კოლექტიური პასუხისმგელობის სქემა სოფლად.
- ადგილობრივი სახეობები და ჯიშები იმპორტირებულმა ხორბალმა ჩაანაცვლა, შეწყდა ხორბლის საყოველთაო თესვა, რამაც ხორბალთან დაკავშირებული კულტურის პრაქტიკიდან ამოღება გამოიწვია.
- ნაწილობრივ შემორჩენილია ხორბალთან და პურთან დაკავშირებული ზოგიერთი ტრადიცია, საერო და საღვთო დღეობები (პირველი ხნულის საღვთო პურითა და ღვინით დალოცვა, სარიტუალო პურების ცხობა საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე, საწესო ხორბლის კერძები მიცვალებულის დღეებში და სხვა).
- აუცილებელია საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთიანი ძალისხმევა ხორბლის კულტურის სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებისთვის.

ჩვენი გამოცდილება

- ხორბლის კულტურის კონსერვაციის მიზნით 2017 წელს დავაფუძნეთ ‘ქართული ხორბლის მწარმოებელთა გაერთიანება’ (Georgian Wheat Growers Association), რომელიც წარმოადგენს მეხორბლე თემების და დაინტერესებული საზოგადოების ინტერესებს;
- 2018 წელს მივმართეთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სტატუსის ინიციატივით;
- 2019 წელს ქართული ხორბლის კულტურას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სტატუსი მიენიჭა და წარდგენილი იქნა იუნესკოს გადაუდებელი დაცვის ქვეშ მყოფი ელემენტების ნუსხაში;
- 2019 წელს ჩვენი ინიციატივით და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი ‘ქართული ხორბლის კულტურის დაცვისთვის’, რომელიც მუშაობს ერთობლივი სტრატეგიული გეგმის შექმნაზე. ამ ჯგუფში ხელისუფლება, არასამთავრობო და კერძო სექტორები თანამშრომლობენ საერთო მიზნისთვის.

თანამშრომლობა მხარეებს შორის

- მეხორბლე თემებთან, ხორბლის კულტურის მატარებლებთან, დაინტერესებულ საზოგადოებასთან - მემკვიდრეობის შენარჩუნებაში და დაცვაში მათი მონაწილეობისა და როლის წახალისება;
- ხელისუფლებასთან, ადგილობრივ მთავრობასთან, არასამთავრობო და კერძო სექტორთან - დაცვის ინტეგრირებული სტრატეგიის შემუშავება, ინვენტარიზაცია, ეკონომიკური და სოციალური გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც ხელს უწყობს კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობას...
- სამეცნიერო წრეებთან და ექსპერტებთან - გამოვლენა, შესწავლა, აღიარება, წარდგენა,
- ახალგაზრდებთან. სათემო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ მუზეუმებთან - ცოდნის გადაცემის ხელშეწყობა;
- მედიასთან - გაცნობიერება, ინფორმაციის გავრცელება.

მთავარი საკითხები

- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართ საერთო პასუხისმგებლობა ადგილობრივი თემის, მთავრობის და საზოგადოების მონაწილეობა;
- სოციალური ერთობა - საერთო პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება: ყველა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფის როლისა და მონაწილეობის წახალისება;
- მხარეთა ვალდებულებების განსაზღვრა მემკვიდრეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობისთვის;
- კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის გათვალისწინება მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის, მისი მთლიანობის შენარჩუნების და ღირებულებების შელახვის გარეშე;
- კონსერვაციის სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინება სახელისუფლო დადგენილებებში;
- კულტურული მემკვიდრეობის ჩართვა განათლების ყველა საფეხურზე, კავშირი განათლებასა და პროფესიულ მომზადებას შორის;
- ინფორმირებულობის გაზრდა.

მნიშვნელოვანია

- საჯარო ორგანოების სრული ინფორმირებულობა კომპლექსური და შეთანხმებული მოქმედება არასამთავრობო ორგანიზაციებთან და თემებთან;
- კერძო პირების და მოხალისე ორგანიზაციების ნებაყოფლობითი ინიციატივების წახალისება კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, შესწავლის, წარდგენის, შენარჩუნების საქმეში;
- საერთო, კონტინენტური (ევროპული) მემკვიდრეობის, მეხსიერების, იდეალების, პრინციპების და ღირებულებების გაცნობიერება და თაობიდან თაობაზე გადაცემა;
- მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება;
- ქართული ხორბლის კულტურის საერთაშორისო აღიარება, რომელიც შექმნის მოტივაციას და იქონიებს წამახალისებელ გავლენას ყველა დაინტერესებულ მხარეზე.